გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2021 წლის 8 იანვარი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და მათი გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების და მათი გაფორმების წესის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/04/2018; 010250050.35.148.016478) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.**

დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმების გაფორმების წესი დანართი №1-ის შესაბამისად.“.

ბ) დადგენილებას დაემატოს 1^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1^1.**

დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტში საქმისწარმოების დოკუმენტების უნიფიცირებული ფორმები დანართი №2-ის შესაბამისად.“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) შემოსული და გასული კორესპონდეცია;“;

დ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტს დაემატოს „მ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) სამსახურეობრივი ბარათი;“;

ე) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დოკუმენტების კლასიფიკაცია სხვადასხვა ტიპებით: ბრძანება, შესრულებული კორესპონდენცია, მოხსენებითი ბარათი, სამსახურეობრივი ბარათი და ა.შ;“;

ვ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. სამართლებრივი აქტების ბლანკი

სამართლებრივი აქტების ბლანკზე დაიბეჭდება შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტები: მცირე

სახელმწიფო გერბი და გორის მუნიციპალიტეტის გერბი (დაიტანება „თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოთა გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 31 მარტის №363 ბრძანებულებით გათვალისწინებული წესით); დოკუმენტის დასახელება, სათაური, თარიღი და ნომერი, უფლებამოსილი პირის თანამდებობა, ხელმოწერა/ელექტრონული ხელმოწერა და მუნიციპალიტეტის ბეჭედი (საჭიროების შემთხვევაში). სხვა რეკვიზიტები განისაზღვრება ამ დადგენილებით დამტკიცებული უნიფიცირებული ფორმებით.“;

ზ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სხდომის აუდიო ან ვიდეო ჩანაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკრებულოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ინახება საკრებულოს შესაბამისი სხდომის ოქმთან ერთად.“;

თ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ი) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „ზ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ზ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე პროექტის ზეგავლენის შეფასება;“;

კ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წერილობითი დავალება მზადდება უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ და ეგზავნება დანიშნულებისამებრ კონკრეტულ მოხელეს. დავალება (მითითება) შეიძლება გაფორმდეს ცალკე დოკუმენტის, ხოლო თუ დავალება მოკლეა და ითვალისწინებს ადმინისტრაციული საქმისწარმოების სტანდარტულ პროცედურას – სარეზოლუციო მითითების სახით.“;

ლ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

მ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) შემოსული და გასული კორესპონდეცია;“;

ნ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების დოკუმენტების ძირითადი რეკვიზიტებია:

ა) დოკუმენტის ავტორი დაწესებულების დასახელება;

ბ) დოკუმეტის ავტორი დაწესებულების მისამართი;

გ) დოკუმეტის დასახელება (მიეთითება ამ წესით განსაზღვრული უნიფიცირებული ფორმის სახელწოდება);

დ) დოკუმენტის ტექსტის სათაური;

ე) თარიღი;

ვ) ნომერი;

ზ) ვიზები;

თ) შემსრულებლების აღნიშვნა;

ი) ხელმოწერა/ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;

კ) დამტკიცების გრიფი;

ლ) ბეჭედი (საჭიროების შემთხვევაში);

მ) მცირე სახელმწიფო გერბი და გორის მუნიციპალიტეტის გერბი;

ნ) ადრესატი;

ო) აღნიშვნა დოკუმენტის შემოსვლის შესახებ;

პ) დოკუმენტის ხელმისაწვდომობის გრიფი;“;

ო) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლი ამოღებულ იქნეს;

პ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ჟ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

რ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „თარიღი“ დაიტანება საქმისწარმოების ყველა დოკუმენტზე, რეკვიზიტ „დოკუმენტის დასახელების“ ქვემოთ.“;

ს) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ტ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 17. რეკვიზიტი „ნომერი“**

უ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „ნომერი“ დაიტანება ყველა დოკუმენტზე. ნომერი წარმოადგენს დოკუმენტის პირობით აღნიშვნას, რომელიც მას ენიჭება რეგისტრაციის დროს.“;

ფ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ქ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეკვიზიტი „ნომერი“ განთავსდება რეკვიზიტ „თარიღის“ მაღლა.“;

ღ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეკვიზიტი „დოკუმენტის ტექსტის სათაური“ განთავსდება რეკვიზიტების „თარიღის“ და „ნომრის“ ქვემოთ ფურცლის ცენტრალურ ადგილას.“;

ყ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეკვიზიტი „ვიზა“ ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტებზე დაიტანება მის უკანა მხარეს.

ელექტრონულ დოკუმენტებზე ვიზირება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.“;

შ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტებზე ვიზირების დროს მიეთითება შემდეგი მონაცემები:

ა) წარწერა „ვეთანხმები“;

ბ) უფლებამოსილი პირის თანამდებობის დასახელება, გვარი და სახელი;

გ) თარიღის აღმნიშვნელი წარწერა: „(..) (.....) (....).“;

დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ჩ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ც) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „შემსრულებელი“ დაიტანება მხოლოდ ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტებზე სამართლებრივი აქტების და საქმისწარმოების სხვა დოკუმენტების პროექტებზე და აღნიშნავს უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ დოკუმენტის პროექტზე თანხმობას.“;

ძ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რეკვიზიტი „შემსრულებელი“ ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტებზე დაიტანება მის უკანა მხარეს.“;

წ) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შემსრულებლის მითითების დროს ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტზე დაიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) წარწერა „შემსრულებელი“;

ბ) უფლებამოსილი პირის თანამდებობის დასახელება, გვარი და სახელი;

გ) თარიღის აღმნიშვნელი წარწერა: „(..) (.....) (....)“;

დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა.“;

ჭ) დადგენილებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „ხელმოწერა“ დაიტანება მუნიციპალიტეტის საქმისწარმოების ყველა დოკუმენტზე, დოკუმენტის ტექსტის ქვემოთ.“;

ხ) დადგენილებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პირადი ხელმოწერა/ელექტრონული ხელმოწერა/კვალიფიციური ელექტრონული შტამპი;“;

ჯ) დადგენილებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი

რედაქციით:

„3. თანამდებობა მიეთითება სრულად თუ დოკუმენტი ბლანკზე არ სრულდება, ხოლო ბლანკზე შესრულებულ დოკუმენტებზე გამოიყენება თანამდებობის შემოკლებული დასახელება.“;

ჰ) დადგენილებით დამტკიცებული წესის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ჰ[1]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 22-ე და 23-ე მუხლები ამოღებულ იქნეს;

ჰ[2]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „დამტკიცების გრიფი“ ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტზე დაიტანება დამკვირვებლის პოზიციიდან დოკუმენტის ზედა მარჯვენა კუთხეში 3X5 ზომით, რომელიც შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) წარწერა „ვამტკიცებ“;

ბ) უფლებამოსილი პირის თანამდებობის დასახელება, გვარი და სახელი;

გ) თარიღის აღმნიშვნელი წარწერა: „(..) (.....) (....) წ.“;

დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა და ბეჭედი.“;

ჰ[3]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ჰ[4]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „ბეჭედი“ დაიტანება შემდეგ ქაღალდზე შესრულებულ დოკუმენტებზე:

ა) სამართლებრივ აქტებზე;

ბ) სამივლინებო დავალებებზე (სამივლინებო ფურცლებზე);

გ) საფინანსო დოკუმენტაციაზე;

დ) მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ გარიგებებზე(ხელშეკრულებებზე);

ე) ოქმებზე;“;

ჰ[5]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ელექტრონულ დოკუმენტებზე ბეჭდის ანალოგს წარმოადგენს ორგანიზაციის კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.“;

ჰ[6]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა. ადრესატის გვარს, სახელს და პირად ნომერს.“;

ჰ[7]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ. ფიზიკური პირის რეგისტრაციის მიხედვით ადრესატის მისამართს (ქალაქი, ქუჩა, სახლის №);“;

ჳ[8]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა. დაწესებულების (იურიდიული პირის) სრულ დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს (არსებობის შემთხვევაში);“;

ჳ[9]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ჳ[10]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.გ. დაწესებულების (იურიდიული პირის) მისამართს (ქალაქი, ქუჩა, სახლის №);“;

ჳ[11]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 28-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეკვიზიტი „აღნიშვნა დოკუმენტის შემოსვლის შესახებ“ დაიტანება შემოსულ დოკუმენტებზე ელექტრონულად, მიღებული კორესპონდენციის რეგისტრაციისას, ნომრისა და თარიღის მითითებით.“;

ჳ[12]) დადგენილებით დამტკიცებული წესის 28-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**